პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 5 (6566)

1980 წ. 8 იანვარი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური წელიწადი კარგად დაიწყეს

საქართველოს სპორტსმენებმა წარმატებით დაიწყეს ახალი ოლიმპიური, 1980 წელი — ლას-პალმასსა და გრონინგენში გამართულ შეჯიბრებებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

გამარჯვება ლას-პალმასის აუზში

ლას-პალმასის (კანარის კუნძულები) ღია აუზში გამართულ წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად გამოვიდნენ 17 წლის თბილისელი სტუდენტები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები **ს. შალიბაშვილი** და საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი **ლ. ცოტაძე.** (ორივე — „განთიადი").

ს. შალიბაშვილმა კოშკიდან ხტომაში უშელავათო ბრძოლაში შესძლო მთავარი მეტოქის, მსოფლიო პირველობის ფინალისტის დ. დერის (გფრ) დამარცხება და 458,25 ქულით უძლიერესის სახელის მოპოვება.

შალიბაშვილს არც ლ. ცოტაძე ჩამორჩა. ლიანამ კოშკიდან შეჯიბრებაში 326,5 ქულა მოაგროვა, რამაც მას პირველი ადგილი მოუტანა. აღსანიშნავია, რომ აქაც მეორე ადგილზე გავიდა გფრ-ის სპორტსმენი კ. ჰარტმანი, მაგრამ იგი ცოტაძეს თითქმის 20 ქულით ჩამორჩა.

კონტინენტზე—მეორე

ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში დამთავრდა ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობა, რომელშიც 30 ქვეყნის 31 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

დასკვნითს, XIII ტურში ა. ბერნინი (სსრ კავშირი), რომელმაც წინადღით ჩემპიონის სახელი გაინაღდა, დაუზავდა ჯ. ფრანტონის (შვეიცარია) და 10,5 ქულით I ადგილი დაიკავა. ამ წარმატებისთვის ხარკოველ მოჭადრაკეს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიეკუთვნა.

ჩინებულად დააგვირგვინა ტურნირი საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის III კურსის სტუდენტმა, ოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. მან სძლია მ. სანტო-რომანას (საფრანგეთი) და 9,5 ქულით II ადგილი დაიკავა.

ეს თბილისელი ოსტატის დიდი გამარჯვებაა. მსგავსი წარმატება მანამდე არც ერთ ქართველ ჭაბუკ მოჭადრაკეს არ მოუპოვებია.

III ადგილზე დარჩა ოსტატი ა. ნეგულესკუ (რუმინეთი) —9. მან მოუგო თ. ერნსტს (შვეცია).

□

საქართველოს სპორტკომიტეტმა **ს. შალიბაშვილი, ლ. ცოტაძე** და **ზ. აზმაიფარაშვილი** ლას-პალმასსა და გრონინგენში მოპოვებული წარმატებებისთვის სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვა. შალიბაშვილისა და ცოტაძის მწვრთნელს გიორგი ბაბალაძეს გამოეცხადა მადლობა.

□

ს ურ ა თ ებ ზ ე: მარცხნიდან, — ლ. ცოტაძე; ს. შალიბაშვილი; ზ. აზმაიფარაშვილი.





● ცურვა

კოლკინსის რეკორდი

ტეხასის შტატის ოსტინის აუზში გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ამერიკელმა სპორტსმენმა ქალმა ტ. კოლკინსმა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მისი შედეგი 2 წუთი და 13,69 წამი 0,38 წამით სჯობს მისსავე მსოფლიო მიღწევას, რომელიც შარშან დასავლეთ ბერლინში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე იყო ნაჩვენები.

ასპარეზობაში მონაწილეებმა კიდევ რამდენიმე მაღალი შედეგი მოიპოვეს: 200 მეტრზე ბრასით 4 პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს. ყველას აჯობა მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ლ. კიჩუშიტემ — 2.30,55. 100 მეტრზე ბატერფლაით ისევ კოლკინსმა იმარჯვა. იგი წუთის ზღვარიდან გამოვიდა — 59,98. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო კ. ლაინეჰენმა (აშშ)—4.07,88. ვ. კრაუზემ (გდრ) ყველას აჯობა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა შეჯიბრებაში—55,93.

ვოლესკელმა ო. კომისაროვამ 1500 მეტრზე შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავა. მან 16.45,86 აჩვენა და საგრძნობლად გაუუმჯობესა ლენინგრადელი ა. აქსიონოვას ადრინდელი საკავშირო მიღწევა (17.24,08). ამ სახეობაში გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა კ. ლაინეჰენმა — 16.20,92.

კომისაროვას თანაქალაქელმა ლ. გორჩაკოვამ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველობა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონს, ამერიკელ ლ. ჯეზეკს (2.14.39) დაუთმო — 2.17,20. 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა მოიგო ჰ. შნაიდერმა (გდრ) — 4.42,96. მოსკოველი ო. ელეკანინა IV იყო — 4.56,87.

● ჩოგბურთი

კარგი სტარტი

საბჭოთა ჩოგბურთელებმა კარგად ისპარეზეს ევროპის ზამთრის გუნდური ჩემპიონატის — „კინგზ-კაპის" (სამეფო თასი) შეჯიბრების სტარტზე, როცა მოუგეს მასპინძლებს — საფრანგეთის წარმომადგენლებს — 2:1.

ა. ზვერევი დამარცხდა ა. ლეკონტთან — 6:7, 6:4, 4:6, ვ. ბორისოვმა სძლია ტ. ტულახს — 6:1, 6:3. წყვილთა თამაშში ბორისოვმა და თ. კაკულიამ დამარცხეს ლეკონტი და ჟ.-მ. პიასენტილე — 6:4, 6:2. ამ ჯგუფში („ბ") მოთამაშე ავსტრიისა და უნგრეთის გუნდები ვენაში შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს უნგრელებმა (3:0), რომლებთანაც საბჭოთა სპორტსმენები გამართავენ მორიგ მატჩს (10 იანვარი).

„ა" ჯგუფის გუნდებში გასულ გათამაშებაში გამარჯვებულებმა, ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებმა მოუგეს ინგლისელებს — 3:0, შვედები დამარცხდნენ გფრ-ის წარმომადგენლებთან — 1:2.

● თხილამურებით ხტომა

ოთხი ეტაპის ჯამში

დასრულდა საახალწლო „ოთხ ტრამპლინის" ტრადიციული შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეები" მონაწილეობდნენ. უკანასკნელი ეტაპი ბიშოფსჰოფენის დიდ ტრამპლინზე ჩატარდა. შეჯიბრების ლიდერი, 19 წლის ავსტრიელი ჰ. ნოიპერი აქ X ადგილზე გავიდა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ოთხი ტრამპლინის ჯამში ყველაზე მეტი — 940,1 ქულა მოეპოვებინა და პირველი პრიზი დაესაკუთრებინა.

ჰანოვერი ექიერიქა ექიერიქა

● მძლეოსნობა

მაღალი შედეგები

კალიფორნიის შტატის ქ. ლონგ-ბიჩის სპორტულ დარბაზში გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, ჰ. მაკტირმა 60 მეტრზე წინასწარ გარბენში მსოფლიო მიღწევა გაუუმჯობესა — 6,53. მაკტირს არ ჩამორჩა მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი ეველინ ეშფორდი, რომელმაც 60 მეტრის გარბენას 7,04 წამი მოანდომა და 0,08-ით გაუუმჯობესა 1978 წელს მარლინ გიორის (გდრ) მიერ დამყარებული მსოფლიო მიღწევა.

წარმატებით ისპარეზეს მხტომელებმაც. ფ. ჯეკობსმა ზადალახა 227 სმ. სიმაღლე. ლ. მირიკსმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 808 სმ, ე. ბელმა ჭოკით დაძლია 534 სმ.

● ჭადრაკი

ჰასტინგსის საერთაშორისო

ჰასტინგსში (ინგლისი) გრძელდება ტრადიციული საახალწლო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს.

9 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო შვედმა დიდოსტატმა უ. ანდერსონმა — 6,5 ქულა. მას კვალში მიჰყვება მოსკოველი დიდოსტატი ს. მაკარიჩევი —5,5.

თბილისელ დიდოსტატ თ. გიორგაძეს 4 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით უსწრებს ჭაბუკი ინგლისელი ნ. შორტი.

სათამაშო დარჩა 6 ტური.

● ციგურაობა სპრინტერებში...

ინცელში გაიმართა მოციგურეთა საერთაშორისო ასპარეზობა — „3 საციგურაოს ტურნე" სპრინტერთა შორის პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ დაწინაურდნენ ლენინგრადელი ა. კორნილოვი (79, 440 ქულა) და ძერჟინსკელი ა. დემიდოვი (79,815), ქალებში კიეველი ტ. ტარასოვა და სმოლენსკელი ლ. სადჩიკოვა II-III ადგილზე არიან. აქ პირველი იყო გდრ-ის წარმომადგენელი კ. როტენბურგერი.

მრავალჭიდელ ვაჟებში ლიდერობს იაპონელი მ. კავახარა, რომელიც I იყო 500 და 1500 მეტრზე რბენაში.

● ველოსპორტი შეამოწმეს

ვიტებინეგოდით, რომ მოსკოვში, კრილატსკოეს მიდამოებში მწყობრში ჩადგა ახალი ოლიმპიური ველოტრეკი. ამ დახურულ საასპარეზოს პირველ გამომცდელებად მოევლინენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები — ზამთრის საკავშირო ტურნირის მონაწილენი.

გეტში მეცამეტე ცდამ ერთმანეთს შეახვედრა იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გ. ლაპინში და თბილისელი სტუდენტი გ. დვალიშვილი. წარმატება ლაპინშს ხვდა — 1.02,451. შემდეგ ეს შედეგი 23 წლის მინსკელმა ლ. სიდოროვმა გაუუმჯობესა — 1.01,081 და გამარჯვებაც მას დარჩა.

ბოლოს გაიმართა სპრინტი. 30 მონაწილიდან ფინალში გავიდნენ ს. ჟურავლიოვი, გ. დვალიშვილი და 17 წლის ომსკელი ა. დოცენკო. ყველასათვის მოულოდნელად ფინალში დოცენკომ შეძლო აღიარებული ფავორიტების დამარცხება.

ჰორიზონტზე

ლეიკ-პლესიდი

XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

მასპინძლები ემზადებიან

ლეიკ-პლესიდში თოვლის ნაკლებობაა, მაგრამ ოლიმპიადის მასპინძლებს ეს ოდნავადაც არ აღელვებთ — თამაშების დროისთვის ამინდის ცვლილებას ელიან. ესეც არ იყოს, ასპარეზობათა ორგანიზატორებს საკმაო რაოდენობით აქვთ მანქანები, რომლებიც დიდი რაოდენობით წარმოქმნიან ხელოვნურ თოვლს. ისე, რომ ოლიმპიადის მონაწილეებს შეფერხება არ ელით.

მანამდე კი აშშ-ს ორჭიდელებს, რომლებსაც ლეიკ-პლესიდში უნდა ევარჯიშათ, შეკრების ადგილის შეცვლა მოუხდათ — კოლორადოს შტატის სტიმბოტ-სპრინგსში გადასახლდნენ, აქ ისინი კვირაში ოთხჯერ 15 კილომეტრს დარბიან და 2-ჯერ ტრამპლინზე ხტებიან. ნაკრები საბოლოოდ იანვრის შუა რიცხვებში დაკომპლექტდება. უძლიერესთა შესარჩევად პერიოდულად ეწყობა სტარტები. ჯერჯერობით ოლიმპიადაში მონაწილეობის ყველაზე მეტი შანსი აქვთ 22 წლის კ. ლინჩს, ჯ. ზდეჩლიკს, ჰ. ეიჰარნს.

რაც შეეხება მფრინავ მოთხილამურეებს, ბუნების ჭირვეულობა მათ არ აფიქრებთ — ლეიკ-პლესიდის 70-მეტრიან ტრამპლინზე წვრთნის პირობები ყოველთვის აქვთ. ჯერჯერობით საუკეთესო სპორტულ ფორმაშია ჯ. მეიკი. მის გარდა ნაკრებში შეეიდნენ ჯ. ლენი, ჯ. მაკნაილი და ჯ. ბრაუმენი.

თოვლიან ბილიკებზე

რაც უფრო ახლოვდება ზამთრის ოლიმპიადა, მით უფრო ხშირად ეწყობა შესარჩევი შეჯიბრებები. უძლიერეს სპორტსმენთა ასპარეზობანი. მსოფლიოს ჩემპიონმა, პოლონელმა ი. ლუშჩეკმა შვეიცარიაში ორ საერთაშორისო შეჯიბრებაში სცადა ძალა და ორივეჯერ პირველობა მოიგო. ოსარაში მან 18 კილომეტრზე გამართულ საახალწლო ტურნირში დაამარცხა გამოჩენილი ოსტატები — 51,15. II ადგილზე გავიდა ო. ბრო — 51.18, III — უ. აუნლი (ორივე — ნორვეგია) — 51.32. შემდეგ ფეიოლინგში ლუშჩეკმა 20 კილომეტრზე რბოლა მოიგო — 57.21.

ფინელი მოთხილამურეებისთვის შესარჩევი სტარტები მოეწყო ვიტასარასა და ლაპში. ვაჟთა შორის საუკეთესო სპორტულ ფორმაშია ი. მიეტო. მან ვიტასარაში 15 კილომეტრი 42.57-ში გაირბინა, ხოლო ლაპში ამავე დისტანციაზე გამარჯვებულ ა. კოივისტოს ოდნავ ჩამორჩა. ქალთა შორის 5 კილომეტრზე ორივეჯერ მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ჰ. რიჰიუორმა იმარჯვა.

თითო აგურის დადება ყველას შეუძლია

იგი ერთ-ერთი მოწინავე ფიზკულტურული ორგანიზაციაა „განთიადის“ კოლექტივებს შორის რესპუბლიკაში. თავის დროზე სპორტკლუბის სახელიც მოიპოვა. - „დილა“ დაარქვეს. მაჩვენებლები ახლაც კარგი აქვს: 5 ათასზე მეტკაციან საწარმოში უმეტესობა ჩაბმულია გამჯანსაღებელ საქმიანობაში, განსაკუთრებით საწარმოო ტანვარჯიშს მისდევენ. მარტო ტურიზმის სექციაში 540 მუშა-მოსამსახურეა გაერთიანებული. მშდ კომპლექსის მოსამზადებელ ჯგუფებში თანამშრომელთა 10 პროცენტი მეცადინეობს...

ბამბეულის ქსოვილების საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურულ ორგანიზაციას გორში კარგახანს ბადალი არ ჰყავდა, მარტო გასულ წელს აქ 6 სპორტის ოსტატი მოამზადეს. მის წინ ერთმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებაც მოიპოვა. მაგრამ უკანასკნელ წლებში კოლექტივის წარმატებათა ზრდის მრუდი ადრინდელივით აღმავალი როდია. ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ ქალაქის წლევანდელ სპარტაკიადაში ფეიქრებმა პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრებს დაუთმეს საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება.

სპორტკლუბის გამგეობა ძალღონეს არ ზოგავს ამოცანების შესასრულებლად, შესაძლოა მეტსაც მუშაობს, ვიდრე ეს სათანადო პირობების მქონე საწარმოსათვისაა საჭირო. სწორედ ამ, ასე ვთქვათ, დღე-ღამის გასწორებით ავსებენ ბაზების უკმარისობას, მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის ნორმალურად წარმართვისთვის საჭირო პირობების უქონლობას.

გაერთიანება რამდენიმე წელია საწარმოო დავალებას ვერ ასრულებს. ამ მდგომარეობაში ძნელია დირექციასთან ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ნორმალურად გაშლისათვის საჭირო პირობების შექმნაზე ლაპარაკი. დავინტერესდით, რით ხსნიდნენ გეგმების შესრულებაში ჩავარდნებს.

მთავარ მიზეზად მოძველებული დანადგარების სამრავლე და თანამშრომელთა დიდი დენადობა დაასახელეს. კადრების საშუალო წლიური დენადობა აქ მართლაც სოლიდური ყოფილა. მაგალითად, 1978 წელს მან მთელი კოლექტივის წევრთა 20 პროცენტს გადააჭარბა.

ეს ერთი მიზეზია, მაგრამ არა ერთადერთი. სხვა მიზეზებიც არის. კერძოდ, გაერთიანების მუშა-მოსამსახურეების დაინტერესებისთვის საჭირო პირობების უქონლობა. ეს საწარმოს ხელმძღვანელებმა (დირექტორი ვ. ხინჩიკაშვილი, პარტკომის მდივანი მ. წიწიკაშვილი) კარგად იციან. მშრომელებს კულტურული საზრდოც უნდათ. ფიზკულტურულ-სპორტული და გამჯანსაღებელ-მასობრივი საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლის პირობებიც. ვერ ვიტყვით, ეს უბნები აქ ზრუნვას მთლიანად მოკლებული იყოს, მაგრამ... 450-ადგილიან კლუბში წვიმის დროს წყალი ჩამოდის, ამიტომაც აქ პერიოდულად ეწყობა კულტმასობრივი ღონისძიებები. ღია სპორტული ბაზების თვალსაზრისითაც სამდურავი არ ეთქმით — გაერთიანებას აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საცხოვრებელი ადგილების მიხედვითაც 4 კომპლექსური ნაგებობაა. მაგრამ უამინდობისას, ზამთრობით რა ქნან?

კულტურის სასახლის მშენებლობა კი უსაშველოდ გაჭიანურდა.

— მე 9 წლისა გახლდით, როცა მისი საძირკველი ჩაყარეს. ამჟამად 26 წლისა ვარ. ამ ტემპით კულტურის სასახლის აგებას კიდევ 5-6 წელი მაინც უნდა. — გვეუბნება მე-2 სართავი ფაბრიკის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ნუგზარ ქოქოშვილი. არა და, სწორედ ამ სასახლის იმედზე არიან გაერთიანების მშრომელები. იციან, რომ აქ სხვადასხვა სექციაში მეცადინეობის შესაძლებლობა ექნებათ, რადგან კომპლექსში სპორტდარბაზიც შედის...

— საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმის მერე ქალებმა (აქ 3600-ზე მეტი ქალია) უფრო ვიგრძენით ფიზკულტურის ცხოველმყოფელი ძალა. საწარმოსთან გამჯანსაღებელ ჯგუფებში სიამოვნებით ვივარჯიშებდით, მაგრამ სად? უდარბაზობას უჰაერობასავით განვიცდით. — თითქოს კვერს უკრავენ ქოქოშვილს შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ვერა კოზინა და ამ განყოფილების თანამშრომელი მერი ჯინჭარაძე.

— ზაფხულობით ღია ბაზებზე ვარჯიშებს ქალები (განსაკუთრებით უფროსი და საშუალო ასაკისანი) ერიდებიან, დარბაზში მეცადინეობის სურვილი კი ჩვენთანაც ბევრს აქვს. — ამბობს №1 საქსოვი ფაბრიკის გამგე ნიკოლოზ იორამაშვილი და რამდენიმე მოწინავეს ასახელებს, რომელთა შრომისნაყოფიერება ფიზკულტურამ აამაღლა, მაგრამ მათი მთლიანი შესაძლებლობანი როდია გამოვლენილი.

— ეკატერინე ქურდაძე, ანნა ზუევა, ნინა ბერიოზინა, ციური ბოღიშვილი, ლამარა კაკოიშვილი და სხვები გეგმებს მუდამ გადამეტებით ანაღღებენ. ბოღიშვილმა III კვარტალში 39696 მეტრი ქსოვილი გამოუშვა და გეგმა 101 პროცენტით გაანაღდა, კაკოიშვილმა დავალება 104,5 პროცენტით შეასრულა...

მარტო №1 ფაბრიკაში მუშახელის უკმარობის გამო 400-ზე მეტი დაზგა ცდება.

კაკოიშვილმა გვითხრა:

— მქსოველებს ფიზიკური დატვირთვა თითქოს არ გვაკლია. 25-27 დაზგას ვინც ემსახურება ცვლაში, 20-25 კილომეტრის გავლა უხდება, ძაფისწყვეტადობის მატებისას ეს მანძილიც იზრდება. ვიღლებით, მაგრამ საწარმოო გამჯანსაღებელი ფიზკულტურა მაინც აუცილებლად გვჭირდება. იგი ცვლის ჩვენი კუნთების მდგომარეობას. ამ ნაკლის გამოსწორებით იქნებ უფრო მეტი დაზგის მომსახურებაც შევძლოთ...

კულტურის სასახლის მშენებლობის დაჩქარება და მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა სხვა ბევრი რამითაცაა ნაკარნახევი. „დილას“ ჰიდაობის სპორტსკოლა აშკარად შეუფერებელ პირობებში მუშაობს — გაერთიანების ტერიტორიაზე მისთვის ორიოდე ოთახია გამოყოფილი. სკოლის კარი ყოველდღიურად 11 საათს ღიაა. გაერთიანების თანამშრომლების, ქალაქის სხვა მიკრორაიონების 300-მდე მოზარდი ეუფლება აქ სხვადასხვა ყაიდით ჰიდაობას. აქ მუდამ სივიწროვეა. ამას გასახდელების, საშხაპის, დარბაზის მოუწყობლობა ემატება. ხეირიანად არც ვენტილაცია მუშაობს. მაგრამ რა ჰქნან? უყვართ გორში ჰიდაობა და ამ სიყვარულის გამო აქ ვარჯიშზე უარს არავინ ამბობს. პირიქით, მსურველთა დიდი ნაკადი ჯგუფების მიღმაა დარჩენილი.

სპორტკლუბ „დილაში“ საზოგადოებრივ საწყისებზე ბევრი აქტივისტი მუშაობს. მთავარი ენერგეტიკის განყოფილების ზეინკალს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ზაურ ნოზაძეს გაერთიანების კალათბურთის მოედანზე შევხვდით. დასახლების ბავშვებს მინიფეხბურთში ავარჯიშებდა. ციოდა. უამინდობას არავინ ეპუებოდა. თბილად ჩაცმული მოზარდები გულმოდგინედ ასრულებდნენ მითითებებს.

— კვირაში 4-ჯერ ვიკრიბებით, — გვიხსნის მე-7 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი მერაბ მაყაშვილი, — რვა თვეა ვვარჯიშობ და ერთი მეცადინეობაც არ გამიცდენია...

ესეც სიყვარულმა იცის.

ზ. ნოზაძეს არც მთავარი მექანიკური განყოფილების მუშა ზვიად გიგაია ჩამორჩება, არც მექანიზაციის საამქროს მუშა ბორის დუკოვი, არც მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილების გამგრილებელი თამაზ ჯავახოვი... ყველას ვერც ჩამოვთვლით. ისინი კალათბურთში, ფრენბურთში, სხვა სახეობებში ამეცადინებენ მოზარდებს, ზამთრობით კი...

„დილას“ კარგი ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციებს შენარჩუნება და განმტკიცება უნდა. ამისთვის სპორტდარბაზი, აუზი, სასროლეთია აუცილებელი. აუზისა და სასროლეთის, კომპლექსური ბაზის აგების საკითხი კარგა ხანია დღის წესრიგში დგას, მაგრამ საკითხის დადებითად გადაჭრას საშველი არ დაადგა.

იქნებ გორელებს დახმარების ხელი გაუწოდონ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, „განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ? დიდ საქმეზე თითო აგურის დადება ყველას შეუძლია.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

ჩვენს მოკმე რესპუბლიკებში

300 სპორტსმენზე მეტი ვარჯიშობს ახალ ხაცურაო აუზში „ზაპსიბოვეცში“, რომელიც დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის შუშებისათვის ააშენეს ქალაქ ნოვოკუზნეცკში.

საკ.ლესის ფოტო.

შრომასა და სპორტში მოწინავენი

სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (ინსტრუქტორ-მეთოდისტი ა. მალაზონია) ერთ-ერთი მოწინავეა „კოლმეურნის“ სამტრედიის რაისაბჭოში. აქ ჩამოყალიბებულია: ფეხბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშისა და თავისუფალი ჭიდაობის სექციები, რომლებშიც 100-მდე სპორტსმენია გაერთიანებული.

ისინი სისტემატურად ატარებენ შიდასაკოლექტივო პირველობებს, მონაწილეობენ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს მიერ გამართულ ღონისძიებებში და წარმატებებსაც აღწევენ. სათანადო ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას, სხვადასხვა თანრიგოსნების, აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი კადრების მომზადების საქმეს, აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებსაც.

ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა შშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მიზნით ამას წინათაც მოაწყეს მარშრუტით: „საჯავახო — ნიგორზღვა — გამოჩინებული — ზანდოს მთა—საჯავახო. ლაშქრობაში 16 მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა და ნორმატივები ყველამ ჩააბარა.

საჯავახოელები აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელ ფიზკულტურის კოლექტივებთანაც.

სოფლის სპორტსმენთა განკარგულებაშია ფეხბურთის და ფრენბურთის მოედნები, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის სექტორები, აქვთ ჭადრაკის, შაშისა და მაგიდის ჩოგბურთის კუთხე. განზრახულია მოეწყოს მძლოსნობის სარბენი ბილიკები, სატყორცნი სექტორები, აგრეთვე კალათბურთის მოედანი.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯავახოს ფიზკულტურის კოლექტივმა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს შარშანდელ სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობებს შორის I ადგილი დაიკავა. შემდეგ კი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს შორის IV ადგილი მოიპოვა.

საჯავახოელს მრავლად ჰყავთ რაიონში მოწინავე ფიზკულტურელები, რომლებიც შრომასა და სპორტს კარგად უთავსებენ ერთმანეთს. ესენი არიან მექანიზაციის ბრიგადირი ს. კანდელაკი, მექანიზატორი ჯ. ჩხაიძე, მექანიზატორი დ. გრიგოლია, მძღოლი-მექანიზატორი ლ. კიკვაძე, მუშები ვ. კიკვაძე, თ. ადეიშვილი, გ. ქორიძე და სხვები.

ი. ნიკოლეიშვილი.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

თასით დაბრუნდნენ

ახლახანს იაროსლავლში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება ძიუდოში ფიზკულტურის ინსტიტუტების პირველკურსელთა შორის. წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა — პირველი ადგილი დაიკავეს და სპეციალური პრიზი დაიმსახურეს. გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის დოცენტმა. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. რატიშვილმა და ამავე კათედრის უფროსმა მასწავლებელმა, სპორტის ოსტატმა გ. ყაყიჩაშვილმა.

— ფიზკულტურის ინსტიტუტების პირველკურსელ ძიუდოისტთა საკავშირო თასის გათამაშება წლეულს პირველად გაიმართა „ბურევესტნიკის“ (ცენტრალური საბჭოს თაოსნობით. — გვითხრა გ. ყაყიჩაშვილმა, — ტატამზე 15 გუნდის 100-ზე მეტი მოჭიდავე გამოვიდა. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. გუნდურ ჩათვლასთან ერთად ვლინდებოდნენ პირად პირველობაში გამარჯვებულნი. ჩვენმა ნაკრებმა კარგად გაართვა თავი ამოცანას. საბოლოოდ 31 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი მოიპოვა. II ადგილზე გასული უკრაინის გუნდი 12 ქულით ჩამოგვრჩა. III ადგილზე ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები გავიდნენ.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის ღირსებას წონითი კატეგორიების მიხედვით იცავდნენ: შ. გაგნიძე (V-VI ადგილები), გ. ზაქაიძე (VII-VIII), ვ. თხელიძე (II), მ. გენებაშვილი (I), ი. ჯოჯუა (I), გ. ჭინჭარაული (II) და ვ. მამულაშვილი (I).

განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა მ. გენებაშვილმა (78 კგ), რომელმაც 7 შეხვედრა წმინდად მოიგო.

ამ დღეებში ლვოვში გაიმართება უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო უნივერსიადა, სადაც სხვებთან ერთად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძიუდოისტებიც გამოვლენ.

ლ. ყურაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე.

• • •

სურათზე: დგანან (მარცხნიდან): მწვრთნელი გ. ყაყიჩაშვილი, გ. ჭინჭარაული, მ. გენებაშვილი, ვ. მამულაშვილი, ვ. თხელიძე, უფროსი მწვრთნელი გ. რატიშვილი. ხხედან: შ. გაგნიძე, ი. ჯოჯუა, გ. ზაქაიძე.

თ. ბურჯანაძის ფოტო.

სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი

მარცხი თანაკლუგელებთან

რიგა, 7 იანვარი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). „დაუგავას“ სპორტდარბაზში, სადაც უმაღლესი ლიგის 12 გუნდმა მოიყარა თავი, ერთგვარი დუელია გამართული თბილისისა და ტალინის ქვეჯგუფებში მოასპარეზეთა შორის. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის რიგის ტურის პირველმა დღემ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 3-3 მატჩი მოიგეს როგორც თბილისის („სტატიბამ“, ვეფ-მა, თბილისის „დინამომ“), ისე ტალინის (ცსკა-მ, მოსკოვის „დინამომ“, კიევის ასკ-მ) ქვეჯგუფელებმა.

მოსალოდნელი იყო, რომ ეს თანაფარდობა არც მეორე დღეს დაირღვეოდა, მაგრამ თვით თბილისის ტურის მასპინძელმა წაიბორძიკა და წინ გაუშვა ტალინელები — 2:4. როგორც ჩანს, ბალტიისპირეთის ჰავის ადრეულ აკლიმატიზაციასაც ჰქონია მნიშვნელობა. კვირას პირველ მატჩში კაუნასის „ჟალგირისმა“ დაამარცხა ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივი“ — 111:92. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ლოკომოტივი“ შორეული აღმოსავლეთიდან მის წინამორბედზე — ვლადივოსტოკის „სპარტაკზე“ უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ შეხვედრას მერე სარბიელზე მოულოდნელობათა „კორიანტელი“ დატრიალდა. ჯერ იყო და ტალინის „კალევმა“. რომელმაც ძალზე უფერულად დაიწყო ჩემპიონატი, ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა ვილნიუსის „სტატიბას“ და იგი ქულათა საკმაო მარაგით დაამარცხა — 98:87. შემდეგ ესტაფეტა მიიღო „სტროიტელმ“, რომელიც ამ დღეს უმაღლესი ლიგის გრანდთა ერთ-ერთ წარმომადგენელს, ლენინგრადის „სპარტაკს“ ხვდებოდა.

უწინ ამ გუნდების მატჩები უეცრად დაძაბულად მიმდინარეობდა და წინასწარი პროგნოზი შეუძლებელი გახლდათ. მაგრამ ეს იყო ადრე, როცა „სტროიტელს“ სხვებთან ერთად ტაჯიჩკო, ბელოსტენნი და შალნევი წარმოადგენდნენ. ამ სამეულის არყოფნამ „სტროიტელის“ აქციები ჩემპიონატის დაწყებამდე ძალზე გააუფასურა, თუმცა კიევის ახალგაზრდულმა გუნდმა, რომლის ლიდერობა 20 წლის ფ. კოჟელიანკომ ითავა, საყოველთაო სიმპათიები დაიმსახურა და ამ დღეს მრავალი აპლოდისმენტი მიიღო. მართალია მატჩის შედეგი — 79:72 „სტროიტელის“ დიდი უპირატესობას არ მიანიშნებს, მაგრამ თამაშის მსვლელობისას „სპარტაკს“ მატჩის გადარჩენის არავითარი შანსი არ ჰქონდა.

მოულოდნელობათა ამ დინებას აჰყვა მინსკის რტი, რომლის გამომცველიც თვით ოლიმპიური ნაკრების საბაზო გუნდი — ცსკა გახლდათ. არმიელებმა ამ მატჩში საბოლოოდ 14-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს — 90:76. მაგრამ ეს ყველაფერი ჩემპიონთა ტრადიციული ძლიერი ფინიშის შედეგია. მანამდე კი ბელორუსი სტუდენტები მოსკოველებს კვალში მისდევდნენ და მეორე ტაიმში ქომაგებს იმედიც კი ჩაუსახეს.

მომდევნო მატჩში მოულოდნელობა დაძაბულობამ შეცვალა. რიგის ვეფ-ისა და კიევის ასკ-ს შეხვედრა განსილი 12 მატჩიდან ერთადერთი აღმოჩნდა, რომელშიც თამაშის ბუდი უკანასკნელ წამებზე ზუსტმა ტყორცნამ გადაწყვიტა. ვეფ-მა პირველი ტაიმი მოიგო 1 ქულით (55:54), მაგრამ საბოლოო ჯამში ქულა დათმო — 99:100.

და აი, მეორე დღის ბოლო შეხვედრა — თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა დუელი. ამ მატჩის თითქმის ყველა მონაწილეს კარგად ახსოვს ხარკოვში, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის ფინალი, როცა უკანასკნელ წამზე ზუსტმა ტყორცნამ მოსკოველებს ჩემპიონობა მოუტანა (92:90).

აქ პირველი ტაიმი დაძაბულად, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და იგი ხარკოვული მატჩის განმეორებას გვპირდებოდა. მე-5 წუთი — 10:10. მე-12 წუთი — 28:28, მე-16 წ. — 35:36. პირველი ტაიმი თბილისელებმა წაგეს — 45:47.

გუნდის ლიდერებმა, დერიუგინმა და ჟიგილიმ შესვენებამდე შესაბამისად 15 და 24 ქულა აიღეს. სულ ცოტა ხნის წინ ესპანეთსა და საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში საბჭოთა ნაკრების მწვრთნელს ორივე მორიგეობით ერთ ამპლუაში გამოჰყავდა. ამ დღეს კი ძირითადად მათ შორის უშუალო დუელს უნდა გადეწყვიტა მატჩის ბედი.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში დერიუგინის ოთხ ზუსტ ტყორცნას ჟიგილიმ, ბოლოშევმა და ფესენკომ სამი გდებით უპასუხეს და ანგარიში გათანაბრდა — 55:55. შემდეგ ჟიგილიი ავტომატივით ამუშავდა — გუნდს წუთნახევარში 8 ქულა შესძინა. შუა ტაიმში მოსკოველები საკმაოდ დაწინაურდნენ — 77:59. მერე დაცვაში შედარებით ზუსტად შესრულებულმა ვარიანტმა თბილისელებს საშუალება მისცა ერთგვარად გამოესწორებინათ მდგომარეობა, მაგრამ წაგებას ვერ გადაურჩნენ — 83:97.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ. **თბილისი:** სიჯარაძე, გრძელიძე (4), ბიჟიაშვილი (6), ჩიხლაძე, (8), ნ. ქორქია (14), დერიუგინი (27), ვ. ქორქია (2), მილოვიდოვი (10), პულავსკი 12).

მოსკოვი — ფესენკო (18), კოროლიოვი (8), ჟიგილი (39), სიდიკინი (3), აგაპოვი (8), პოპოვი (9), ბოლოშევი (12).

მსაჯები: ვ. სუურკასი (ტალინი). და ა. კადიროვი (ბაქო).

ჯ. ჯახუტაშვილი.

● **მხატვრული ტანვარჯიში**

ირინა ქემჩუქინას საახალწლო „დუბლი“

საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გასული წლის ორ უკანასკნელ ასპარეზობას უმასპინძლა აფხაზეთის დედაქალაქმა. სოხუმის „სპარტაკის“ დარბაზში ჯერ რესპუბლიკის პირადა-გუნდური პირველობა გაითამაშეს მოსწავლეებმა, ხოლო შემდეგ საქართველოს თასისთვის ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი წამყვანი სპორტსმენები.

„სპარტაკის“ მესვეურებმა (თამამდომარე, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ა. ჩაჩავა) ყველაფერი გააკეთეს ტურნირების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ყოველ ეტაპზე იგრძნობოდა ორგანიზატორთა საქმიანი და მზრუნველი ხელი.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მოსწავლეთა პირადგუნდური პირველობის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. ჩვენი რესპუბლიკის 50-მდე ნორჩ ტანმოვარჯიშეს გულთბილად მიესალმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე ტ. როგაჩოვა, ხოლო სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის III-ბ კლასის ნორჩმა მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი ე. გიგაური) საინტერესო და გონებამახვილური მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიციით კიდევ უფრო მეტი ლაზათი შემატეს ისედაც ამაღლებულ საზეიმო განწყობილებას.

შეჯიბრებამ ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. მოზარდთა შორის პირველი ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად თბილისელებს, მარიკა გოგოლაშვილსა და ეკა ციერცვაძეს შორის გაიმართა. ამას წინათ თბილისის პირველობაზე გამარჯვებულმა გოგოლაშვილმა აქაც დაამტკიცა თავისი უპირატესობა და თანატოლებს შორის რესპუბლიკაში უძლიერესის სახელიც მოიხვეჭა.

იგივე განმეორდა ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის — კვლავ თბილისელები დომინირებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ოსტატმა, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ირინე ქემჩუქინამ. II ადგილი დაისაკუთრა ასევე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა მაია ნადიბაიძემ.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას III ადგილზე გასულ ვალია გონჩუკოვას შესახებ. მისი ნებისმიერი გამოსვლა ძალზე ეფექტური იყო და ყოველთვის ხიბლავდა მაყურებლებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გონჩუკოვას სახით საქართველოს მხატვრულ ტანვარჯიშს საიმედო სპორტსმენი ეზრდება.

გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისის I ნაკრებმა.

რესპუბლიკის პერიფერიათა წარმომადგენლებმა ვერაფრით გაგვახარეს (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი პერსპექტიული მოსწავლე-სპორტსმენი. ესენია: ირინე ლორთქიფანიძე და ნაირა დიასამიძე (ორივე — აჭარა), ტატიანა ტალო და ელენე ასანიძე (ორივე — აფხაზეთი), ოლგა ობრუბოვა (რუსთავი).

სულ სხვა ვითარება შეიქმნა საქართველოს თასის გათამაშებისას, თუმცა თბილისელთა სრულ უპირატესობა აქაც აშკარად იგრძნობოდა. მართალია, ასპარეზობაში სხვადასხვა მიზეზის გამო არ მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 3 წამყვანი ტანმოვარჯიშე — ირინე გაბაშვილი, ლალი დოლიძე, მარინე ხალილოვა, მაგრამ, სამაგიეროდ მხატვრული ტანვარჯიშის ქართველი გულშემატკივრების წინაშე დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ წარსდგნენ მარინე მორბედაძე და ინგა სააკაშვილი.

საქართველოს თასს დაეუფლა და სეზონის მიწურულს თავისებური „დუბლი“ გააკეთა ირინე ქემჩუქინამ. ირინეს შედეგები: სახტუნელა — 9,7, ბაფთა—9,75, რგოლი — 9,4 და გურზები — 9,8 (შეჯიბრების უმაღლესი შეფასება) მოწმობენ, რომ იგი ამჟამად ბრწყინვალე ფორმაშია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოლიმპიურ სეზონში საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ღირსეულად ამოუდგება მხარში ირინე გაბაშვილს. II და III ადგილები დაისაკუთრეს მაია ნადიბაიძემ და ქეთინო კუჭავამ. ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული სტილის ამ ორმა ნიჭიერმა სპორტსმენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ისინი რესპუბლიკის ნაკრების ძირითად საყრდენს წარმოადგენენ. მომდევნო ადგილებზე არიან ინგა სააკაშვილი, მარინე მორბედაძე და ნანა ფოცხიშვილი. და ისევ გონჩუკოვას შესახებ — მის მიერ დაკავებული VII ადგილი ზემოთ დასახელებული ექვსეულის შემდეგ მნიშვნელოვან წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

გუნდურ [illegible] ... ეაც თბილისის [illegible] ... წყვილთა-შორის უძლიერესი იყო ბელა სისაურისა და ტატიანა დოლგოვას დუეტი (ორივე — თბილისი).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ საქართველოს რაიონების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა უკმარი დონე. ეს უბრალო თვალითაც ნათლად ჩანს, თუ გადავხედავთ საპრიზო სამეულებს. მაგრამ საქმე საპრიზო ადგილების დაკავებასა და მოპოვებულ ქულებში როდია. რაც მთავარია, სპორტსმენთა უმრავლესობის ტექნიკა დაუხვეწავია, მუსიკალური კულტურაც დაბალ დონეზე დგას და ვარჯიშების კომპოზიციაც საკმაოდ ღარიბულად გამოიყურება.

საქართველოს პერიფერიების მხატვრული ტანვარჯიშის ფონზე აჭარის ნაკრების გამოსვლა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა. ეს არ ითქმის შეჯიბრების მასპინძელთა ნაკრებზე. V-VI ადგილები დაიკავეს ქუთაისისა და რუსთავის კოლექტივებმა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლი ამ ორი ქალაქის მხატვრული ტანვარჯიშის მიმართაც ითქმის, მაგრამ აქვე გვინდა მკითხველს განვუმარტოთ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ფაქტი. რუსთავში სულ რაღაც ორი წელია მუშაობს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მხატვრული ტანვარჯიშის ენთუზიასტი ლ. სოფრომაძე, ფაქტიურად აქ ახლა იღვიძებს სპორტის ეს სახეობა, სულ სხვა ვითარებაა ქუთაისში. იყო დრო, (6-7 წლის წინათ), როცა რესპუბლიკის ამ მეორე სპორტულმა ქალაქმა საქართველოს სწვადასხვა ნაკრებს აღუზარდა 4 წევრი. ამჯერად, მოსწავლეთა პირველობაზე ქუთაისს საერთოდ არ გამოუყვანია გუნდი, ხოლო თასის გათამაშებაში იგი 4 გოგონათი იყო წარმოდგენილი. რიონისპირა ქალაქის მწვრთნელთა დღევანდელ შემადგენლობას, რომელსაც დღესდღეობით აქვს მუშაობის მხოლოდ დიდი სურვილი, აქტიური ხელშეწყობა და დახმარება სჭირდება.

თუ ჩვენ გვინდა დღეს დიდ სპორტულ გზაზე გასული ქართული მხატვრული ტანვარჯიში უფრო წინ წავიდეს, რაიონებში მუშაობასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ეს იოლი საქმე როდია, მაგრამ იგი რეზერვების მაქსიმალური ამოქმედებით უნდა გაკეთდეს. პრობლემები ამ მხრივ უამრავია. მაგალითად, სრულფასოვანი, ნორმალური ბაზებით უზრუნველყოფა, მხატვრული ტანვარჯიშის კადრების გონივრული განაწილება, რაიონებში მომუშავე სპეციალისტთა არა მარტო თეორიული, არამედ თვალსაჩინო, პრაქტიკული დახმარება-კონსულტაციები, უფრო მეტი რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარება და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს ქართული მხატვრული ტანვარჯიშის კიდევ ერთი, საკმაოდ სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი. აქ გვულისხმობთ შეჯიბრებათა მსაჯობას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ არის სასურველ დონეზე.

ა. გოგოლაშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: ზედა რიგში — თასის გათამაშების პრიზიორები: მაია ნადიბაიძე (II ადგილი), ირინე ქემჩუქინა (თასის მფლობელი), ქეთინო კუჭავა (III ადგილი). წინა პლანზე — მოსწავლეთა შეჯიბრებაში გამარჯვებული მარიკა გოგოლაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● **მძლეოსნობა**

კვირას თბილისში, „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშების საქართველოს ზონალური გუნდური ტურნირი და რესპუბლიკის ზამთრის პირადი ჩემპიონატი. ასპარეზობაში ქალაქების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ფაქტიურად ეს იყო ჩვენი მძლეოსნების პირველი სერიოზული შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის შემდეგ.

გუნდური ტურნირი დედაქალაქის მძლეოსნებმა მოიგეს. პირად პირველობაში მონაწილეებმა რამდენიმე დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქალები.

სურათზე: ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული გ. ჩადუნელი ასპარეზობის შემდეგ.

ე. ხუცურაულის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

● **ფეხბურთი**

ფინალში—მასპინძლები

ბათუმი, 7 იანვარი. (ტელეფონით). საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით ბათუმისა და ფოთის სტადიონებზე გრძელდება ფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც 1962-64 წლებში დაბადებული ბავშვებით დაკომპლექტებული ერევნის, მოსკოვის, ტაგანროგის, ვლადიმირის, ოდესის, თბილისის (5), ბათუმის და ფოთის 15 კოლექტივი მონაწილეობს.

ასპარეზობა „მეგობრობის“ სახელითაა ცნობილი. მისი მონაწილენი თავდაპირველად 3 ქვეჯგუფად გაიყვნენ. ქვეჯგუფებში 2-2 უძლიერესი გადიოდა ფინალში. გადამწყვეტ ბრძოლებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მხოლოდ საქართველოს გუნდებმა. თავის ქვეჯგუფში ყველას აჯობა თბილისის „შრომითი რეზერვების“ მოზარდთა კოლექტივმა, იგი ფინალში 3 ქულით შევიდა. 2-2 ქულით აგრძელებენ ბრძოლას თბილისის „ავაზა“ და ბათუმის ნორჩი დინამოელი. თითო ქულით — ობილისის ასკ, სპორტული ინტერნატი და ფოთის „ვოდნიკი“. მათ გარდა გამარჯვებულის სახელისთვის გადამწყვეტ ბრძოლებში გამოვა თბილისის ნორჩი დინამოელის გუნდი.

ტურნირი 10 იანვარს დამთავრდება.

გ. ანთაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გვექნება სპორტული წიგნის ბიბლიოთეკა

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენს სპორტული წიგნისადმი ჩვენი ახალგაზრდობა. ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი რეგულარულად იძენს საინტერესო სპორტულ წიგნებსა და ბროშურებს, ალბომებსა და ბუკლეტებს, ქმნის თავის საკუთარ პატარა სპორტულ ბიბლიოთეკას. გულშემატკივრები ხშირად იჩენენ დაინტერესებას აგრეთვე ძველი, 30-40 და უფრო მეტი წლის წინათ გამოსული გამოცემებისადმი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ვერ აგნებენ მათ. ერთი სიტყვით დღის წესრიგში დგას სპორტული ბიბლიოთეკის არსებობა.

ამ მხრივ დიდად მოსაწონია თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივა ჩვენს ქალაქში სპეციალური სპორტული ბიბლიოთეკის შექმნის თაობაზე.

აღნიშნული საკითხი ამასწინათ კოლეგიის მორიგ სხდომაზე განიხილა საქართველოს სპორტკომიტეტმა, რომელმაც მოიწონა ინიციატივა და წინადადებით მიმართა რესპუბლიკაში არსებული ქალაქებისა თუ რაიონების სპორტკომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, სხვადასხვა ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, ცალკეულ ფიზკულტურულ მუშაკებს მხარი დაუჭირონ ამ პატრიოტულ წამოწყებას და თავის მხრივ სათანადო წვლილი შეიტანონ სპორტული ხასიათის ლიტერატურის შეგროვებისა და ბიბლიოთეკისათვის უსასყიდლოდ გადაცემის საქმეში.

—სპორტული ბიბლიოთეკის შექმნა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი ქალაქისა და საერთოდ რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, კადრების თეორიული და პროფესიული დონის ამაღლებას, — გვითხრა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გ. ყორმელაშვილმა— სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ წამოწყებამ უკვე ჰპოვა გამოხმაურება მთელ რიგ ფიზკულტურულ მუშაკებსა და სპორტის მოყვარულთა შორის. ერთ-ერთმა პირველთაგანმა შემოგვთავაზა თავისი მდიდარი და საინტერესო სპორტული წიგნების კოლექცია სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. კორინთელმა.

რაც შეეხება თვით ბიბლიოთეკას, მისთვის ვაკეში, ენგურჰესის მშენებელთა ახალ შენობაში გამოყოფილია 100 კვ მეტრამდე ფართობი. ვვარაუდობთ, რომ მალე სპორტული ბიბლიოთეკა მიიღებს პირველ მკითხველებს.

მ. ბრეგვაძე.





თბილისში, „შრომითი რეზერვების“ სპორტულ კომპლექსში დამთავრდა ამ საზოგადოების აკრობატთა პირადი საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 9 ქალაქის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

სურათებზე: სარბიელზე არიან შერეულ წყვილებში მოასპარეზენი, ტაშკენტელები ა. ტუმენევი და ლ. დიუვინა; ლენინგრადელ ქალთა წყვილების — ლ. ბელიაევასა და მ. კაზაკოვას გამოსვლის ერთ-ერთი მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

(შეჯიბრების ანგარიში იხილეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში).

ნლის საუკეთესო სპორტსმენები

ბერლინი. გდრ-ის გასული წლის საუკეთესო სპორტსმენებად აღიარებული არიან 200 და 400 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენი მ. კოხი და ცნობილი ველოსიპედისტი ბ. დროგანი.

22 წლის როსტოკელი მ. კოხი კარგადაა ცნობილი მძლეოსნობის მოყვარულთათვის. იგი მრავალი საპატიო ტიტულისა და ჯილდოს მფლობელია. მარიტა პირველი სპორტსმენია, რომელმაც 200 მეტრი 22 წამზე ნაკლებ დროში დაფარა და 400 მეტრზე 49 წამზე უკეთესი დრო აჩვენა.

დროგანის გამარჯვებათა ნუსხა ჯერჯერობით ნაკლებ შთამბეჭდავია, მაგრამ მან დიდი წვლილი შეიტანა ტრადიციულ „მშვიდობის ველორბოლაში“ გდრ-ის მრბოლელთა გუნდის ლიდერებში მოსახვედრად, აგრეთვე, კარგად გამოვიდა ნიდერლანდების მსოფლიო ჩემპიონატში. 24 წლის ბერნდი კოტბუსის სპორტკლუბში ვარჯიშობს.

სტოკჰოლმი. ცნობილი ჩოგბურთელი ბ. ბორგი შეხუთედ დაასახელეს შვეიცის საუკეთესო სპორტსმენად. სამთო მოთხილამურე ი. სტენმარკი და მოჭიდავე ფ. ანდერსონი შესაბამისად II და III ადგილზე გავიდნენ ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა ათეულში.

ჰელსინკი. ფინეთის გასული წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოაცხადეს მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი, 26 წლის პ. კარპინენი (აკადემიური ნიჩბოსნობა).

ბუქარესტი. რუმინეთის 1979 წლის საუკეთესო სპორტსმენია ოლიმპიური ჩემპიონი, ტანმოვარჯიშე ნ. კომენეჩი. II და III ადგილები დაიკავეს ტანმოვარჯიშე ე. ებერლემ და ნიჩბოსანმა ს. ტომამ.

ვაჟთა შორის ლაურეატია კლასიკური სტილის მოჭიდავე კ. ალექსანდრუ.

საუკეთესო კოლექტივად აღიარებულია რუმინეთის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდი, რომელმაც მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი.

ბრიუსელი. ბელგიის საუკეთესო სპორტსმენად ბელგას საგენტომ აღიარა ჭოკით მხტომელი პ. დერული. გასულ სეზონში მან დაამყარა ბელგიის რეკორდი — 555 სმ.

ვენა. ავსტრიის საუკეთესო სპორტსმენად ერთხმად დაასახელეს მსოფლიო თასის ექვსგზის მფლობელი, სამთომოთხილამურე ა. მოზერ-პრიოლი, რომელიც ქვეყნის ნაკრების ლიდერია. ლეიკ-პლესიდის ოლიმპიურ თამაშებზე. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი რ. ზაკლი, ხოლო მესამეზე — ევროპის ჩემპიონი საცხენოსნო სპორტში ე. ტოირერი.

ვაჟთა შორის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს ა. კოგლერი (ტრამპლინიდან ხტომა). (საკ-დესი).

ჯონ ნიქსი: სიურპრიზის იმედი გვაქვს

ამერიკის ფიგურული ციგურაობის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილია კალიფორნიის ქალაქ სანტა-მონიკასკენ, სადაც ლეიკ-პლესიდის ოლიმპიური თამაშების წინ ვარჯიშობენ 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონები წყვილთა სრიალში ტ. ბაბილონია და რ. გარდნერი. ეს სპორტსმენები, აშშ-ის პრესის აზრით, „ამერიკის ყველაზე დიდ იმედს“ წარმოადგენენ ზამთრის ოლიმპიადაზე სპორტის ამ სახეობაში. თუმცა, წერს ჟურნალი „ნიუ-იორკ ტაიმს მეგზინი“, — შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბევრი წყვილი. ბაბილონიასა და გარდნერს მხოლოდ საბჭოთა სპორსტმენები ი. როდნინა და ა. ზაიცევი აფიქრებს. საბჭოთა და ამერიკელ დუეტთა შეჯიბრება, რომელიც მაყურებელთა აღტაცებას იწვევს, ზამთრის თამაშების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იქნება, — მიუთითებს ჟურნალი.

ამერიკელ ფიგურისტებს წინა აქვთ ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც გაიმართება 15-20 იანვარს ატლანტაში (ჯორჯიას შტატი). ამ ტურნირის გამარჯვებულთა შორის, სპორტული მიმომხილველების აზრით, აუცილებლად იქნებიან ბაბილონია და გარდნერი, რომლებიც ამ გზით მიიღებენ ლეიკ-პლესიდის საგზურს.

ჯერჯერობით კი ბაბილონია და გარდნერი, რომლებიც პირველად 1974 წელს მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატში გამოვიდნენ (მაშინ ტაი 13 წლის იყო, ხოლო რენდი —15-ის) გაძლიერებულად ვარჯიშობენ. მათი სამუშაო დღე დილის 8 საათზე იწყება. ისინი ყინულზე საათზე მეტ დროს ატარებენ, შემდეგ საბალეტო კლასში ვარჯიშობენ, რის შემდეგ რამდენიმე საათს უთმობენ ციგურებით სრიალს, ტანვარჯიშს, სირბილს. გარდნერს კი ამას გარდა დღის წესრიგში შეტანილი აქვს ძალოსნობა. შაბათს დატვირთვა მცირდება, ხოლო კვირა დღეს სპორტსმენები ისვენებენ.

„როცა ბაბილონია და გარდნერი პირველად გამოვიდნენ საერთაშორისო სარბიელზე, მათი სტილის დამახასიათებელი იყო რაც შეიძლება რთული ელემენტების შესრულება, რისთვისაც იმ დროს არც ოსტატობა და არც ფიზიკური მომზადება ჰყოფნიდათ. მწვრთნელთა დახმარებით, მათ თანდათანობით შეიმუშავეს თავიანთი ხელწერა, რომელშიც შერწყმულია რთული ნახტომების ტექნიკურად სწორი შესრულება და არტისტიზმი. სწორედ ამან მიიყვანა ისინი გამარჯვებამდე ვენის მსოფლიო ჩემპიონატში“, — წერს გაზეთი „სან-ფრანცისკო კრონიკლი“.

„ტაის და რენდის ოლიმპიურ ნებისმიერ პროგრამაში აქვთ „სიურპრიზი“, რომელზეც ჯერჯერობით არაფერს ვამბობთ, —განაცხადა ფიგურისტების მწვრთნელმა ჯონ ნიქსმა, რომელიც უკვე 8 წელია ამ წყვილს ავარჯიშებს. — რამდენადაც ეს იქნება მათი და როდნინა—ზაიცევის შეჯიბრება, ისინი ცდილობენ დაუმატონ 2-3 ელემენტი, რომლებიც საბჭოთა წყვილს, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, პროგრამაში არა აქვთ“.

უახლოეს დღეებში მწვრთნელი და სპორტსმენები გააკეთებენ კომპოზიციის თანმხლები მუსიკის საბოლოო არჩევანს. „ჩვეულებრივ, 5-წუთიანი გამოსვლა მოითხოვს 3-4 მუსიკალური ნაწყვეტის შესრულებას. მუსიკა განსაზღვრავს ჩვენი კოსტუმების ფერსა და ფასონს, — თქვა ბაბილონიამ. ვენდობი დედაჩემის გემოვნებას, რომელიც კალიფორნიელ მემოდელეებთან ერთად მონაწილეობს კოსტუმების „შექმნაში“. სწორედ დედა ჩააკერებს ჩემი კოსტუმის მკლავში ჩემს საყვარელ თილისმას — სათამაშო მელიის ლეკვს, რომელიც, ვიმედოვნებთ, დაგვეხმარება გამარჯვებაში“. (საკ-დესი).

ვილას აინტერესებს «დევისის თასი»!

ამერიკელ პროფესიონალ ჩოგბურთელებს კარგა ხანია აღარ აღელვებთ თავიანთი ქვეყნის სპორტული სახელი. დიდძალმა ფულმა, რომელსაც ისინი განსაკუთრებულ ტურნირებში (პირველ რიგში „დიდი პრიზის“ გათამაშებაში) საპრიზო ადგილებისთვის იღებენ, მათი ყველა პატრიოტული გრძნობა დათრგუნა და აღარავითარი სურვილი არ აქვთ „ძვირფასი“ ძალები დახარჯონ ისეთ მატჩებში, რომლებიც მოგებას არ იძლევიან. ერთ ასეთ ღონისძიებად ისინი თვლიან „დევისის თასის“ გათამაშებას — ფაქტიურად მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ პირველობას.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მიუთითებს, ამის დამახასიათებელ მაგალითად გამოდგება ჯ. კონორსის საქციელი. იგი უკვე კარგა ხანია არად აგდებს აშშ-ს ჩოგბურთის ასოციაციის თხოვნას, მონაწილეობა მიიღოს დევისის თასისთვის ბრძოლაში. აქ დიდ წარმატებად მიიჩნიეს თასის გასული წლის გათამაშებაში ჯ. მაკინროის, ვ. გერულაიტისის, ს. სმითის ეროვნულ გუნდში მონაწილეობაზე თანხმობა. არა და, ერთ დროს ამერიკელი ჩოგბურთელები დიდ ბედნიერებად თვლიდნენ ეროვნულ ნაკრებში მიწვევას.

ბოლო წლებში დევისის თასის ფორმულის შეცვლის რამდენიმე პროექტი წამოაყენეს. ერთი მათგანია ტურნირის ერთ ქალაქში 16 ქვეყნის ნაკრების მონაწილეობით გამართვა, ისე, რომ ყველა ბრძოლა ორ კვირაში დასრულდეს. მაგრამ როგორც ამერიკელ ჩოგბურთელებს სურთ, ამ ასპარეზობის ვადები არ უნდა დაემთხვეს „ფულიან“ ტურნირებს. ამგვარი რეკონსტრუქციამ მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა მრავალ ქვეყანაში, რომელთა სპორტსმენები „დევისის თასს“ ჩოგბურთელთა მთავარ გუნდურ შეჯიბრებად თვლიან.

შემოსავლიანი ტურნირების ირგვლივ შექმნილმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ ამერიკელ მოყვარულ ჩოგბურთელთა ყურადღებაც მიიპყრო და ისინი თანდათან ჩამოშორდა „დევისის თასს“. ალბათ ამიტომაც არის, რომ აშშ-ს გუნდის მიერ ვერცხლის თასის ორჯერ ზედიზედ მოპოვება აქ ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიეს. „ახლა ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელების მთელი ყურაღღება იქითაა მიპყრობილი ვინ რომელ ტურნირში რამდენი მიიღოს“, — დასძენს „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 — 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 — უე 10010